დანართი №2

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის/თანახელმძღვანელის/კოორდინატორის ფუნქციები და პასუხისმგებლობების სფერო

1. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ხარისხიანი და თანამედროვე მოთხოვნებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზებას. იგი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და შიდა და გარე შეფასების გზით მის მუდმივ გაუმჯობესებას. იგი, ასევე, პასუხისმგებელია, კონსულტაციები გაუწიოს სტუდენტებს აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით.

2. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარებისა პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები, მეცნიერები; სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას; ორგანიზებას უწევს პროგრამის საჯარო განხილვას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, კათედრა და ა. შ.), ან შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების სხდომაზე.

3. პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს/კოორდინატორს ევალება: მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია პროგრამის და მისი განხორციელების თავისებურებების შესახებ, გაუწიოს მათ კონსულტაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და სხვ. დამატებით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა სადოქტორო სემინარში, პროგრამის მონაწილე დოქტორანტების სასწავლო და სანეციერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი და სხვ.

4. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაზე.

5. პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი/თანახელმძღვანელი/კოორდინატორი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები ეცნობება ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირების მიზნით.

6. სწავლების ერთ საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის) ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება უხელმძღვანელოს ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას. გადაწყვეტილება გამონაკლისის შესახებ შეიძლება მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.